ანგარიში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ 2022 წელში გაწეული მუშაობის შესახებ

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის N41 დადგენილების ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის დებულების დამტკიცების“ თანახმად საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური წარმოადგენს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც, უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის მომზადებას, მუნიციპალური პროგრამების საფინანსო გაანგარიშებას, დასაბუთებას და შესრულებას. ბიუჯეტის სახსრების მიზნობრივ მიზანშეწონილ და ეფექტიან გამოყენებას. ბიუჯეტის შესრულების პერიოდული და წლიური ანგარიშის მომზადებას, სამსახური მოქმედებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ორგანოს სამართლებრივი აქტებისა და სამსახურის დებულების შესაბამისად.

სამსახურს აქვს ორი განყოფილება: საბიუჯეტო და ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების განყოფილება. სამსახური ვალდებულია მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მერიის წინაშე.

გასულ წელს მისი ძირითადი საქმიანობის ამოცანებიდან გამომდინარე შეასრულა შემდეგი ფუნქციები: საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 82-ე მუხლის თანახმად მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა მოახდინა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახადელების კვარტალური განწერა საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად და წარუდგინა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, საბიუჯეტო კოდექსის 86-ე მუხლის თანახმად 28 თებერვლამდე მოამზადა 2021 წლის შესრულების ანგარიში, საბიუჯეტო კოდექსის 76 -ე მუხლის შესაბამისად 2022 წლის 1 მარტს გამოიცა 2023 წლის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების ბრძანება, საბიუჯეტო კოდექსის 85-ე მუხლის თანახმად მომზადდა ბიუჯეტის შესრულების კვარტალური ანგარიშები. დამტკიცებულ ბიუჯეტში საანგარიშო წელში 4- ჯერ მოამზადა ბიუჯეტში

ცვლილების შეტანა, რომელშიც ასახული იყო როგორც ადგილობრივი ასევე მთავრობის განკარგულებებით გამოყოფილი სახსრები.

მეთოდური დახმარება გაუწია მხარჯავი ორგანიზაციის მიერ შექმნილ საბიუჯეტო ორგანიზაციებს.

ფინანსთა სამინისტროდან მიღებული ინფორმაციების გათვალისწინებით (15 ივლისი-05ოქტომბერი) საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა გაიანგარიშა შემოსულობებისა და გადასახდელების საპროგნოზო მაჩვენებლები თვითმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის შესადგენად . საბიუჯეტო ორგანიზაციებს გადაეგზავნათ საბიუჯეტო განაცხადის ფორმები ასიგნებებისა და მომუშავეთა ზღვრული მოცულობების მითითებით.

მომზადდა 2023-2026 წლების საშუალოვადიანი პრიორიტეტების პირველადი დოკუმენტი, რომელიც მოწონებული და დამტკიცებული იქნა მერის სამართლებრივი აქტის საფუძველზე. აღნიშნული დოკუმენტი ბიუჯეტის პროექტთან ერთად განვიხილეთ საჯაროდ მოქალაქეთა და არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობით. შენიშვნების გათვალისწინებით კანონმდებლობის შესაბამისად მომზადდა 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვერსია და დამტკიცდა.

ასევე წარმოგიდგენთ მოკლე მიმოხილვას მუნიციპალიტეტის გასული წლის შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების მ.შ. გადასახადების გეგმა შეადგენდა 8290.0 ათას ლარს, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 8502.0 ათასი ლარი, გრანტების გეგმა შეადგენდა 13511.6 ათას ლარს, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 13737.0 ათასი ლარი, სხვა შემოსავლების გეგმა შეადგენდა 2537.80 ათას ლარს, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1974.30 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების კლების გეგმა განსაზღვრული იყო 339.2 ათასი ლარით, ფაქტიურად შემოსულია 174.3 ათასი ლარი.

- მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების (პროგრამული კოდი 01 00) დაფინანსებაზე გახარჯულია 4100.90 ათასი ლარი.
- ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 02 00) დაფინანსებაზე - გახარჯულია 10662.20 ათასი ლარი;

- დასუფთავება და გარემოს დაცვა (პროგრამული კოდი 03 00) - ხარჯებმა შეადგინა 1272.10 ათასი ლარი;
- განათლება (პროგრამული კოდი 04 00) გახარჯულია - 2893.30 ათასი ლარი;
- კულტურა რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 00) გახარჯულია - 3344.60 ათასი ლარი;
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00) ხარჯებმა შეადგინა - 1472.9 0 ათასი ლარი.

დაზუსტებული ინფორმაცია მხარჯავ დაწესებულებაზე წარმოდგენილი იქნება 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშში.